საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა რეინტეგრაცია/რესოციალიზაციის საკითხები საქართველოში

ნათია ქადაგიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი **2018**

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ქადაგიშვილი

27.01.2018

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების რეინტეგრაცია/რესოციალიზაციის პროცესებს საქართველოში, კერძოდ, თუ რა სირთულეებს აწყდებიან სამხედრო მოსამსახურეები დაშავების შემდეგ და რა რესურსებზე აქვთ წვდომა.

ნაშრომში განხილულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების რეინტეგრაციის საკითხები.

ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისგან: პირველ ნაწილში მოკლედ არის მოთხრობილი დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვის ისტორია ანტიკური ხანიდან დღევანდელობამდე, დასაბუთებულია თემის აქტუალობა და განსაზღვრულია კვლევის მიზანი.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია ის სირთულეები, რასაც სამხედრო მოსამსახურეები აწყდებან დაჭრის შემდეგ. ასევე, მიმოხილულია ამ კუთხით არსებული კანონმდებლობა და საერთაშორისო გამოცდილება.

ნაშრომის მესამე თავი მოიცავს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისათვის საქართველოში არსებული მდგომარეობისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციას.

წინამდებარე ნაშრომის მეოთხე ნაწილში საუბარია კვლევის მეთოდებზე, შეზღუდვებზე და შედეგებზე, რომელსაც თანდართული აქვს შესაბამისი გრაფიკები.

ნაშრომის ბოლო ნაწილში შეჯამებულია კვლევა და შეთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის გაუმჯობესებისათვის.

საკვანძო სიტყვები:

დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები; რესოციალიზაცია/ რეინტეგრაციის საკითხები; ფიზიკური რეაბილიტაცია; ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

ABSTRACT

The thesis describes the processes of reintegration / re-socialization of warriors, who were wounded and injured during the battles, produced for territorial integrity, as well as International peacekeeping missions. The work provides awareness of the difficulties that the military servicemen face after the injury and resources they have access to.

The thesis discusses about not only the issues of reintegration / re-socialization of the wounded and injured warriors of the Ministry of Defence in Georgia.

The thesis consists of four parts: in the first part it tells the story about the ways of caring on the wounded warriors from ancient time to present day, it also defines the meaning of the topic and the aim of the research.

The literature review examines the difficulties that warriors face after wounding. Moreover, it evaluates the Georgian legislation and international experience in this section.

The third part of the thesis speaks about existing conditions in Georgia and current programs in Georgia.

In the fourth part, the work discusses the research methods, the restrictions and the results, including graphs.

The final part of the thesis summarizes the research and makes recommendations for improving the process of rehabilitation / re-socialization among wounded and injured warriors.

Key words:

Wounded and Injured warriors; Reintegration/Re-socialization Issues; Physical Rehabilitation (theraphy); Psychiatric Rehabilitation.

მადლობა

მადლობას ვუხდი აკადემიურ ხელმძღვანელს შორენა საძაგლიშვილს ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს კონსულტაციისთვის, განსაკუთრებით ესტატე ლელაშვილს, უამრავი საინტერესო და სასარგებლო რჩევის მოცემისთვის და მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე შეიარაღებული ძალების დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს გულწრფელი და საინტერესო პასუხებისთვის.